სწორედ რეგულირეობიწი ცეცხლით აღგზნებულ ბუნებას შეეძლო ზიზილი შეეფურთხებინა ამ აყოლილულ ნავისთვის, ამ უტუნეთის საყვარელისთვის და შეგნებულად გადაღება ის „ბედნიერი“ მომავლი, რომელსაც უმბა-დებდა ჯულაშვილს სასულიერო ასპარეზზე კარიერა და დასდგომოდა ეკლავი რეგულირეობიწი გზას, როდესაც გაარკვევით არ იცოდა, სად მიიყვანდა ეს გზა, ან კიდევ კარგად იცოდა, რომ ამ გზით მავალი კისრის მოტყუაც ეწეოთ. მაგრამ ჯულაშვილის ბუნებამ დაბრკოლება არ იცოდა. მას შინი არ სწევოდა.

ჯულაშვილი გაცივანი სემინარიის პირველ კლასში 1894 წელს და უნებლედ დაუმეგობრდი მას. მე მიმიზი-და მისმა დამოუკიდებელმა ხასიათმა, რასთანაც წინას-წრობითი შეზავებული იყო გარკვეული გონება. მახვილი მეტყველება, კეთილი და უბრალო განწყობილება ამბანა-გემისაღმი, ბუნდა მოქისკი-მბიარული ხასიათი, მოს-წრეობილი ხუმრობა, მზირად დამკინავი კილითი, მოხდენილი, ტურობი ქართული სიმღერა და, რაც ყველაზე ძვირ-ფასი, იშვიათი იყო იმ დროს მისი მდგომარეობისთვის, როგორც საუკეთესო მოსწავლის, მთავრობის ვაჟუნის გათვქმე ღღამა მისდამი უნდობლად მოპყრობა.

სემინარიელის ნიჭი მაშინ მემწანური თვალსაზრი-სით ფასდებოდა, როგორც ქართველ საზოგადოებაში, ისე სემინარიის ამბანავაზში. ამა თუ იმ ნიჭიერ მოსწა-ვლზე ამბობდნენ: „ის საუკეთესოდ გაათავებს სწავლას, სახელმწიფო ხარჯზე წავა სასულიერო აკადემიაში და მი-სი „ბედნიერი“ ცხოვრება უზრუნველყოფილია“, ასეთი აზრისა ვიყავით ჩვენ სოსოზედაც პირველ კლასებში. ვინ წარმოადგენდა მაშინ თუ ჯულაშვილი ოდესმე ჩაუდგებო-და რეგულირეობიწი გზით დიდი რუსეთის სახელმწი-ფოებრივ საქმეს სათავეში. ჩვენ მაშინ შეგნეული ვიყავით იმ აზრს, რომ სახელმწიფოებრივი პირები პატარიომი-დანვე ეზავდებოან, ან, უკეთ, მათ ამზადებენ დიდი საქ-მისთვის სხვა გზით და ამისთვის შესაფერი სოციალური მდგომარეობაც იყო საჭირო.

სოსო, რასაკვირველია, თავის მდგომარეობით ასე-თი საქმისთვის ვერ მოემზადებოდა და ეს ფიქრადაც არ მოუყლიდა მას, ვინადიან ის იყო ერთი დატატი მერქმის ქტვირის შვილი, გამაზრდილი ყუფილავარ ნაყოფიერებამე-ტაქტირებაში, და ამასთან ისეთ დატქვითებულ ქალაქში, როგორიც იყო მაშინდელი გორი. მაშ ის, რისაც მან შემ-დეგ მიიღო, მისი ნიჭის და უნარის შედეგია, აქ არა-ჩვეულებრივი ნახტობია. ამ მოუღენას რეგულირეობის და-ლი აზის.

მართლაც, სოსო დიდად დაჯილდოებული იყო ნი-ქით. მას რა მოესურვებია პირველ მოსწავლეთ გაათავებ-და სწავლას და, როგორც ასეთი, სახელმწიფო ხარჯზე წავილიდა სასულიერო აკადემიაში, მაგრამ „ბუდისტ-ვარ-სკლავება“ სხვა გზა უჩვენა მას. მისი ბუნება იყო შევეუ-ბოდა იმ მუდური ცხოვრებას, იმ ფლიდობას, რისთვისაც ამზადებდა სემინარია თუ აკადემია. და, ვინც დააკვირდ-ებოდა მის ხასიათს, უმეველად უწინასწარმეტყულებდა, რომ ის სასულიერო სამსახურისთვის არ იფარებდა. მიუ-ხედავად იმისა, რომ სოსო საუკეთესოდ სწავლობდა, მი-სი კუთვაცევა, მისი მისწრაფება ვერ ამაყოფილებდა სე-მინარიის იწებულტრ მოთხოვნილებებს. უკანასკნელთა შო-რის პირველ დღელზე იღვა ევარდწოდებულ „მკლესიო-რი მიდრეკილება“, სწორედ ეს მიდრეკილება არ ეფარდ-ებოდა.

ბოდა სოსოს საერო კაცის ბუნებას. მართალია, ის არ მისდევდა სემინარიელების ქეიფს, დროს ტარებას, ქალების დევნას, უმინზო ხეტიალს ქუჩებში და ბაღებში, მაგრამ არც ბურსაკული ბუტუსუზა იყო. ის უფრო თანამებრძოლ ვე ხნის და ქცევის, ვიდრე სემინარიელის უხეშობის და უზრდელობის ტიპს წარმოადგენდა.

ყურადღების ღირსი არის, რომ სოსო, როგორც პირ. ევლი მოწაფე, გარეგნულად მაინც უფრო შვეიდი, წყნარი და რეგიმის მორჩილი, გამამართლებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც ერთი ეს თვისება მას არ უდგებოდა. ის მაშინვე სტიქიურად რევოლუციონერი და დემოკრატი იყო და ასეთ აზმანაგებთანაც იკავებდა კავშირს. ტიპები რომელნიც სანიმუშო მაგალითს იძლეოდნენ „გველსურ მიდრეკილების“, როდესაც ისინი წირვა-ლოცვის შემდეგ საყდარში ჩრებოდნენ, საათობით მუხზმორცეკლი გულწრფელად თუ ფარსეცლობით თვალტყუპიანი წმინდანებს შელადებდნენ და ლოკადნენ მათ, სოსოს თვალში

მსახურებიც კი ქართველ მოწინავე პირთ, ჩვენს ზნე-ჩვეულებას მასხრად იგდებდნენ და ქართულ ენას მოურიდებლად ძალის ენას უწოდებდნენ. ამაზე ჩივილი კი არამც თუ არ შეიძლებოდა, არამედ თითონ მომჩივანი გამოვიდოდა გამტყუებელი და შეინიშნებოდა კიდევ, როგორც არა საიმედო პირი. სამაგიეროდ რუს მოწაფეებს აქებდნენ ჩვენს წინააღმდეგ, იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ქართულ გვარებს და სახელებს იძულებით რუსულად აკეთებდნენ „ბაგრატას“ პანკრატად, „აშვილს“ იავეჯად და სხვა. ვინც ამას ეწინააღმდეგებოდა, მას ნიშანში ამოიღებდნენ და არ ახერხებდნენ. ბოლოს დროს აღმინისტრაციამ ეანდარმერაისთანაც დაიჭირა კავშირი და რამოდენიმე მოწაფეც, როგორც გამოირკვა 1917 წ. „ახრანის“ აგენტურის ქსელში ჩაბა.

ასეთ პირობებს ჯულაშვილის რევოლუციონერი სული ვერ შეურიგდებოდა და უსათუოდ მას ასე თუ ისე პროტესტით შეხედებოდა. მისი პირველი ლექსებიც ამ



ჯულაშვილი სტალინი

„ახრანის“ არქივიდან:

მისივე სიტყვით „ქრისტეს მიერ დაფლული“ საპყრობეს (Христу) ради юридические) გვანდნ.

ჯულაშვილის რევოლუციონერობა, როგორც შემჩნეულია სემინარიელების ცხოვრებაში, დაიწყო პროტესტით რუს შავრაზულ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც გამეფებული იყო მაშინ სემინარიაში, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. სემინარიის მთავრობა, პირველ ყოვლისა, გარუსების პოლიტიკას ემსახურებოდა. იქ იყრიდნენ თავს „გარუსების კომიტეტის“ წევრები: ვოსტოროგოვი, დემერტიევი და სხვები (ეხლა ყველას გვარები არ მასსეს). ყოველი მისწრაფება ქართველი მოსწავლეების, თუნდაც ეს ბავშური გატაცება ყოფილიყო ყაზბეგის ან აკაკისადმი, დიდ დევნას და უკიდურეს ზიზღს იწვევდა მთავრობის და მოსწავლეების შორე. ხშირად მოსწავლეები მათთან ერთად რუსი მოსწავლეები და, წარმოიდგინეთ,

ფაქტს ადასტურებს. სოსოს ლექსები შედარებით შინაარსიანი და ლამაზები იყვნენ. საუბედუროდ, არც ერთი ასეთი ლექსი არ შემორჩა, რომ ჩემ მოგონებისთვის დამეჩინო. ამ დროს ჯულაშვილი გატაცებული იყო სააკაძის ეპიკურის სარღობით და ტარიელ-ავთანდილის რაინდობით.

ვისაც ტფილისის სემინარიის ცხოვრებისთვის მეოთხმოცდაათე წლებში უღვენებია თვალი, ის შეამჩნევდა, რომ მოსწავლეები, რომელნიც შემდეგ რევოლუციონერ გახდნენ დასდგომიან, მესამე კლასში უკვე ეშვებოდნენ პატრიოტულ გრძნობებს და გადადიან სოციალისტურ ბანაკში. ხშირად მესამე კლასშივე ესენი შედიან ფარულ რევოლუციონერ წრეებში და აქ ითვისებენ ახალ მსოფლშეხედულებას.

ჯულაშვილის ცხოვრებაც ამ მოვლენის დამაბეჭებელია. ის მესამე კლასში შედის ასეთ წრეში, რომელ-

საკ ხელმძღვანელობს ლ. კეცხოველი (მოკლული მეტეხში) და პეტეონა მესამე დასულების მიმართულებას და მუშათა მოძრაობას. ამ დროს ეკუთვნის მისი რამოდენიმე ლექსი, დაბეჭდილი მაშინდელ, თუ არ ეცდები, სემინარიელების ფარულ გამოცემაში. ის ლექსები გვეუხებებიან, რომ სოსოს სულში დაიწყო ახალი ძიება.

ბი ერთი ამ ლექსათაგანი:

„ამ ქვეყნად იგი ვით ლინდა“
„ხარის ქარ დაწიაღებდა“
„ხარის ეპყრა მუხის თანდრის“
„ხმა ტკბილად აწკრიალებდა“
„ბევრს აუღვლია ამა ხმაში“
„გული ქვად გარდაქცეული“
„ბევრს გაუბრწყინდა გონება“
„მნელ უღუნთად ქვეყლი“
„მიგრამ სიდ ჩანგმა ძლიერდა“
„მეჭქარედ დაიგრაილა“
„განდევნილთ იქ ბრბომ გაბედვით“
„დაუღდა შხამის ფილა“
„და უთხრა: შესე, წყუთლო,“
„ეგ არის შენი ხვედრიო“
„შენი არ გვინდა სიმართლე“
„არც ეგ ციფრი ხმებიო“...

სხეული.

სოსოს, მიუხედავად მისი სერიოზული მუშაობის და მისწრაფების, ბავშვური მოსუენარობა და ლაზლანდარობა ჰქონდა დაზნებულთ. ერთ წუთს მას ვერ ნახავდით დადგარიმლის. რაც უნდა ღრმად ყოფილიყო გიტაცებული რაიმე სერიოზული საგნით, უნდა შეეცდოთ სახამი იყო საჭირო, რომ ის გამოგეწვიათ საოხუნჯოთ, მეტადრე, თუ მისი განუწყრელი ამხანაგი მიშა დავითაშვილი („Чоп“) გვერდით ჰყავდა. მაშინ უნდა გენახათ მათი „წარმოადგენები“. ვაი იმის ბრალი, ვინც ეს ორი ყბად აიბეზდენ, მის უნდა სადრე მივარდნილი კუთხე მოეცებნა საოსსწავლო ოთახს გარეთ და იქ მემკაცინა, თორემ მისი დასვენება შეუძლებელი იყო. ხშირი იყო ამ ნიადაგზე უთანხმოება მათთან, მხოლოდ უთანხმოება ზერტელ ხასიათის და მალე შერიგებით თავდებოდა. ან ვის რა ჰქონდა სოსოსთან გასაწყობი, როდესაც ყველა ჰხედდა, რომ მას ჰქონდა გრანობი და უკანა აზრები არ ამოძრავებდნენ— იქ მარტო ბავშვური ცეცქობა იყო, მეტი არაფერი.

ჯულაშვილის ძალიან ეხებებოდა ქართული სიმღერები, ხმაე ტკბილი, მესკალური ჰქონდა, სიმღერებში უყვარდა „ქონა“ და „გლესაჲ და გლესაჲ, ნამგაჲ“. სიმღერაში ან პირველს, ან მეორეს ამბობდა... კარგი ხმის გამო ის ერთი ხნობით საეკლესიო მაღლობელთა გუნდშიაც იყო.

მასთან ყველაზე ძალიან იყვნენ დაახლოებულიები მიშა დავითაშვილი (მოკლული 1916 წ. საფრანგეთში გერმანეების ომის დროს), პეტა კაპანაძე (ენლა მღვდელია ხაშურში თუ ცხრაშხაში), გიგუცა პარკელი. (უხანეს სასამართლოს სამოქალაქო განყოფილების წევრი), გრიშა გურუჯიძე (სოფლის მეურნე) და რამოდენიმე სხვა. ეს ხუთი კაცი შეადგენდნენ პირველ სამ კლასში განუწყრელ ჯგუფს. ჯგუფის სული და გული იყო სოსო. ჯგუფმა პირველად დაიწყო მეცადინეობა ფიზიკაში და სხვა საბუნების-მეტყველო საგნებში, შემდეგ მან მიჰყო ხელი კრი-

ტიკა-პუბლიცისტიკას, ბოლოს კი გადავიდა სოციალოგიაზე უკანასკნელ დარგში ჯგუფი მარქსიზმში გაიტაცა, მხოლოდ მარქსიზმ ბოლომდის ყველა წევრები არ შერჩნენ. მარტო ჯულაშვილი, დავითაშვილი და რამოდენიმე პარკად გაყვედნ ამ სწავლას.

ამ განუწყრელ ჯგუფს ჩვეულებად ჰქონდა ხუმრობის დროს ერთი მეორის ზურგზე შესხრომა. თაოსნობა ამგვარ ვარჯიშობაში, როგორც ყველაფერში, სოსოს და დავითაშვილს ეკუთვნოდათ. შეხატებოდა რა ვისმე სოსო ზურგზე, დაიკრავდა გულზე ხელს და მაშალაყინწასავით შესძახებდა: „ფოლადი ვარ, ფოლადი!“ სწორედ აქედან აუღია მას ის პარტიული სახელი **СТАЛИН**, რომლითაც იცნობენ მას რუსეთში. როდესაც ცნობილ კიმიბორე რევოლიუციონერ კოსირიოვს მის შეჯიბრებაზე: „იქნაო თუ არა სტალინა“—ოქ უარყოფითი პასუხი მიეცეო, მან შეშინა: „მეო რა ქართველი ხარ, თუ სტალინს ევრ იცნობო“. დაიხ მე „სტალინს ამ დრომდის (1917 წ. კერენსკის მთავრობის დროს) ვერ ვიცნობდი, თუმცა ჯულაშვილის ახლო მეგობარი ეიყავ სემინარიაშიც და შემდეგაც. სემინარიის შემდეგ მას მთელი რევოლუციონური საქართველო იცნობდა სხვა სახელით. ეს სახელი იყო „კობა“ ეს სახელიც სოსოს აუღია იმ ანექდოტური არაკიდან, რომლის მოთხრობა მას უყვარდა სემინარიულ ამხანაგებში. არავინ ნაამბობია მოსულელო მეცხეარე კობაზე, რომემაც პანტის გულისთვის მთელი თხის ფარა გაუწყვიტა თავის უფროს ძმას და აღუდებული წყლით გაუფუფუქა დედა....

გადავიდა თუ არა სოსო მეოთხე კლასში, მან უცებ შესწყვიტა მეცადინეობა და ხუთიებიდან ჩამოვიდა ერთებზე. მასწავლებელი და ამხანაგები განაცხადებდა ისეთი ცვლილებები და ვერ გამოეცხადებ, საქმე რაში იყო. მხოლოდ ბოლოს მიხედენ, რომ ის სემინარიას ოთარ ეკუთვნოდა. უნდა წასულიყო, წავიდა კიდევ, 1899 წელს ის მეოთხე კლასიდან გამოირიცხეს (უდათ სწავლის და ცუდი ყოფი-სკვეის გამო სხვებიდან ერთად). სწორედ ამ დროიდან იწყება სოსოს წმინდა რევოლუციონური მოღვაწეობა.

სემინარიიდან წასვლის შემდეგ ის შევიდა სამსახურში ტფილისის ოპერავატორიაში და აქედან იღებს მონაწილეობას ტფილისის ს.-დ. ორგანიზაციის მუშაობაში, სადაც განვითარებით და საქმიანობის უნარიანთა მალე იქცევს დიდ უფრადლებას. ოპერავატორიაში სოსო ღრმად სწავლობს მარქსის მოძღვრების და ხელმძღვანელობს სემინარიელთა ფარულ სოციალისტურ წრეს. მისი ჯგუფიდან მას ჩამოშორდნენ თითქმის ყველა, გარდა მ. დავითაშვილისა და ესეც მალე მოსკოვში მიდის საბუჭავალტერო კურსებზე რამოდენიმე თვით. მათ ნაცვლად ჯულაშვილს დაუახლოვდნ სემინარიის „წრიდან“ ახალგაზრდობა: სანიმე ალ., ბერძინაშვილი ვასო, ბერიშვილი ალ. გურგენიძე მიტა, ელისაბედაშვილი გიორ., ტოროშვილი მაღ. და სხვები. ამ ხანაში სოსომ ბევრ ახალგაზრდას უხელმძღვანელა რევოლუციონერ ასპარეზზე. ცნობილი კამო მისი მოწაფე და იდეური მიმდევარი იყო ბოლშევის. თითქმის არც ერთი იმ დროის სემინარიელი, ვისაც კი მოუწურებია ს. დ. პარტიაში მუშაობა, სოსოს უშუალოდ, არ შესულია ორგანიზაციაში. დიდი იპოპულიარლი პარონება იყო სოსო რევოლუციონერად განწყობილ ახალგაზრდაში.

მე გგონია შესაფერისი იქნება მოვიგონოთ, თუ რა მასალას უჩვენებდა ჯუღაშვილი სემინარიის მოსწავლეთა თეორიკანითარების წრეს შესასწავლად. იმ დროს, როდესაც ს. დედეაიანი მომხრე იყო ყოველწლიურ წიგნების კითხვის ბელეტრისტიული ნაწარმოებებიდანაც, ის ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო და მითითებდა მხოლოდ და მარტო მარქსისტულ და მუშათა მოძრაობის შესახებ ლიტერატურის კითხვას. ის ორტოდოქსალობა და უკიდურესი რევოლუციონერობა, რაც მას ბოლომდის შერბა, თავიდანვე ეტყობოდა მას, თუმცა დამაფრთხილებელი და ცხრაას პირველ წლების დასაწყისს. ის უკვე გამოცდილი და მოწინავე პროპაგანდისტ-ორგანიზატორია და ფართო მასშტაბით მუშაობს მთელ საქართველოს ორგანიზაციებში—ტფილისში, ბათუმში, გურია ქიათურაში და სხვებში.

1900 წელს ის ბელმძღვანელობს ტფილისის **მეთუ-თუნეთა** გაფიცვას, რომელიც მუშების გამარჯვებითი თავდება.

1901 წელს ოსტერვატორიაში სამსახურს თავს ანებებს; გადადის არა ლეგალურ მდგომარეობაში და მთლად ეძლევა პარტიულ მუშაობას. ვინაიდან მაშინდელ ტფილისის ორგანიზაციას ჯერ არ აქვს საბჭოელო მინქანა, სოხი ან თითონ ბეჭდავს ფურცლებს გეგმარებაზე, ან აბეჭდვინებს სხვა ამხანაგებს მ. დავითაშვილს, გ. პარკაძეს კამოს და სხვებს.

ამავე დროს ეტყობა, რომ სოხი ლენინის წმინდა რევოლუციონერ მარქსისტობას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე პლენარის, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის ნაწარმოებების „Монистический взгляд на историю“ და „Наши разногласия“-ს საშუალებით უკეთ გაეცნო მარქსის მსოფლმხედველობას. ქართველ მარქსისტებში

ტებში ყველაზე მაღლა აყენებდა ალ. წულუკიძეს, ლ. კეცხოველს და ს. ჯიბლაძეს.

1903 წ. ეწევის პარტიულ ყრილობაზე ის ემხრობა მეურავალესეთა რეგულირების და შემდეგ შემდგომი ერთად ბელმძღვანელობს მთელ ამიერკავკასიის მეურავალესეთა ფრაქციის ორგანიზაციებს.

1906 წელს სოხი ირთავს ცოლად ალ. სვანიძეს ჟმრის დას, რომელიც ქალიშვილობისას ირჩეოდა სილამაზით, წყნარია ხასიათით და შრომის მოყვარულით. სოხის ცოლი ერთი წლის შემდეგ უყვდება და, თუმცა ეს გარემოება თავიანთს სცემს მას, ის მაინც რევოლუციონერ მუშაობას ერთი წუთითაც არ ღალატობს და ჩვეულებრივ იხსენიობს განაგრძობს მუშაობას. მას ნახავთ ყველა რევოლუციონერ აქტში ტფილისში თუ სხვაგან თვალსაჩინო მომქმედ პირად. დისპუტებში ანარქისტებთან თუ ფედერალისტებთან შეფარებელი ორატორია, რასაც ხელს უწყობს მისი მდიდარი მესხიერება და განეითარება. თუმცა სოხი უკიდურესი კონსპირაციის დამცველია, მაგრამ ხანდისხან ებმება „ოხრანის“ ქსენებში, საიდანაც მას მიაქვამდებოდა ციმბირისკენ. ციმბირში ჯუღაშვილი „მუშაველობას“ ვერ იტანს, მაღე იპარება და ისევ უბრუნდება თავის საყვარელ მუშაობას. 1910 წელს, როდესაც ემ ტომსის გუმბრინიაში ვიყავი, სოხი იპარება ნარიშიდან.

1907 წ. მუშაობის ასპარეზი საქართველოდან ბაქოში გადააქვს, იქიდან კი რუსეთის სხვა სამრეწველო ცენტრებს.

ჯუღაშვილი—სტალინი რევოლუციის ხანაში ხდება ლენინის ერთ-ერთი საიმედო მარჯვენად. და ოქტომბრის რევოლუცია სამართლიანად აყენებს მას საბჭოთა ქვეყნის და პარტიის სათავეში.

გ. ბაკრაძე.

გამოსაღმება

(ჯორჯიაშვილის სხოვნას)

მწეილობით ძებო... ჯალათის ბრჭყალებს ვერსად წაუფელ როგორცა ვხედავ, ხეალ უნდა მომკლან, უნდა მაწაფონ... ნუ მიგლოვ მეგრძოლს, მშობელო დედაე!..

მე მით ვამაყობ, რომ პარნათლად სახრჩობელიდან გადმოვიხედავ და ერთხელ კიდე განთიადისას, უკანასკნელად ზეკას შევხედავ.

მე შევასრულე, რაც რომ მეწადა... მაშ შორს, ფიქრებო, შორს ჩემგან, სვდავ... არას ვინაღვლებ, ოლინდ ნუ მიგლოვ. ჩემო ძვირფასო, მშობელო დედაე!..

ქნარი.

რაც იყო, მოკვდა!

რაც იყო მოკვდა, აწ ძველი დრო არ დაბრუნდება, წინსვლაში ბუღბას მხოლოდ სული გამარჯვებისა; ეს ამოცანა ვინც ვერ ახსნას ვერ შეითვისოს, ის მსხვერპლი გახდება დაცემის და დამარცხებისა.

მე უძლებ ენით წინ მივდივარ, სულ წინ მივლტეი უსახლგო არის ჩემ წინ სივრცე ცად გადაშლილი, სულის ავისკრავებს, თვალს იტაცებს სამომავლისო, წითელი დროშა, ძლივს დროშა ათასად შლილი.

ბრძოლით დავიპყრობთ, ავაშენებთ შრომის სამეფოს, ჩვენ თვით გამოვსვდით, ჩვენ მომავალს დიად ომებით. ჩვენ გვახალხებთ, ავაფრებთ კაცობრიობას; ნიჭით ძლიერით, ახალ-ახალ გამოგონებით.

უნდა დანერგოს განადგურდეს ძველი ქვეყანა, მის ნანგრევებზე ჩვენ დაეწყებთ ახლის შენებას; ძრწოლით!.. სტრიოდით... ძველი ქვეყნის, ძველი ღმერთები!

თქვენ ჩვენებ შორის, ვერა პოეზიით აქ შებრალებას!..

სამსონ მგელაძე.

ლ ბ ტ ბ მ რ ბ

ტრაგედია

მოკმემდნი პირნი.

ლატავრა, სახე იდეალის.
სამი ხარღალი.
Inkubus, სახე ბოროტების.
ენგიაჩარ, ახიელი ბატონი.
დედა.
გამდელი.
მოურავი რესპუბლიკისა.
მწიგნობარი.

მგოსანი, მსაჯულენი. ელენი, ხალხი. სხედასხვა
დარგის მუშენი. დარაჯენი. ამალა. შუთქმულენი. გზირი.
ჯარისკაცენი და სხვა.

ხინა მოქმედების! განუხალერელია. !

მოკმედება პირველი.

ფარდის ანდამდე ისმის საყვირის ბმა, სცენაზე მრავალი ხალ-
ხია: გლეხენი, ზელოსნენი და ჯოველნიარ¹ დარგის მუშენი—ქალი და
ვაჟი. იქვე სდვას გაიქურა, დემონიურ სახის ადამიანი—Inkubus.
ცოხის გაღაგანზე სდვას გზირი საყვირით² ხელში. „დარაჯენი გუშა-
გობენ, ხალხი ჯგუფდება დავითოვდა და ერთმანეთში საუბრობენ.

I

გზირი, ზელოსანი, მკედელი, დურგალი, მგოსანი, ზეინ-
კალი, ხალხი და Inkubus.

გზირი. ჩემი საყვირი³ ქვეყანას შესძრავს!
ზელოსანი. ჩვენი ზელოსუღალს⁴ რამე ამბავი ეცნობებოდა!
დურგალი. მოულოდნელია⁵ რამე ამბავი!
ზეინკალი. უმკველია, რამე იქნება,
თორემ ჩვენ ასე... ასე სასწრაუოდ
არ შემოგვკრფოდა ..

სასნის, უტირის რამე!

მკედელი. მე ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ
ეს ორი დღეა ცხვირის მაცემინებს და ისიც თითოს და ან სამს ერთად!...

უთუოდ კენტზე ღირდები ხოლმე!
ჩაქუჩს⁶ გაღვისირი, აღარ ვმუშაობ,
მკეტავ⁷ დარაჯებს და შინ მოვიდვარ!
ამ დღის უთუოდ თავს გადავიფლის შვიი ყოვანი
და თან დამწნავის...

დურგალი. მაგით ვარ გასურს სთქვა?

მკედელი. ცუდს მოასწავებს!..

დურგალი. შენ, მგობარო! ბებრებთან მჯდარხარ
და მკითხოხა შეგისწავლა!

მამ⁸ გამოიცან რას⁹ ვუფიქრობ ეხლა?

მკედელი. შენ რას იუქრებ? ქუშტარისაგან

თავში ტვინი გაქვს გაღაგებული!

შენ მხოლოდ ერთი გწამს—მატერია!

დურგალი. შენ ხომ ჰქონია გწამს და ეშმაკებიც!

მკედელი. უცაყრაოდ ვარ!

მე მკედელი ვარ...

და ჩემს ქურაში დავწვი ეგენი!

მე ეშმაკებზე არა მითქვამს—რა!

გამტკიცებ მხოლოდ:

რომ ჩვენს გარეშე, ჩვენს უნებურად
რალაც სხვა ძალა თითქმის არსებობს,
რომელიც გრძნობებს შეგპარება
და შთაიგონებს, რაც უნდა მოხდეს.
აი, მე ეხლა რალაც საშინის მოლოდინი მაქვს!
დურგალი. შენს წონხსა რომელ მუხეუმში ჰქონდა ადგილი?
ეგ რალაც ძალა¹⁰ სიდან შეგიძება?
მაგ გრძელ ცხვირიდან, თუ ყანყრალოდან?
ან შემდეგ სიდან გაუსვენ-ხოლმე?

საერთო სიცილი. Inkubus ხალხში დაძვრება და რალაცას
წერს¹¹ მუშენს.

მკედელი. მასხარა უნდა მასხარად მოკვდეს!..

გზირი. ჰე! ჰაა!..

ჩემი საყვირი ქვეყანას შესძრავს!..

გლეხი. რომელიც აქამდე მგოსანს ესაუბრებოდა

მამ დღეს პირისპირ ენახავთ ლატავრას?

მე არ მინახავს... არც ჩვენს სოფულებს!..

ამბავს წაივლებ...

მართალი არის, როგორც იქნებ?

მგოსანი. ხომ გავიგია ზღაპრებში თქმული

შეთუწახავი ქალი პირიშუა...

გრძნობის წაღები და მომბიბოლელი?

აი იმ ქალზე ლატავრა უფრო ლამაზი არის...

შეზიზიზიან და ჯერს უაღრეს

როს ოქვის სურით ის წყლიდან მოდის,

მას უკან მოსდევს ქალთა ამალა.

გინდა რომ მხოლოდ მას ერთს უყურო...

როცა ჰხედავენ, იკრფენ ძალას მოხუცებულნი.

იმედს. ჰპოვენ გულგატეხილნი.

დაფრდილობები ჯანსაღდებიან.

სასტიკი ლება, მრისხანე სცხრება.

ენება დამშრალი ინთება გრძობით.

ლატავრას ნახვით სული მშვიდდება...

მისდობარ სახლში ხალისიანი და გარდაქმნილი.

იმედით სავსე ებრძვი ცხოვრებას!..

ხმები. ლატავრა ჩვენი ბორკშესული ლეთაება არის!

მკედელი. ის ლეთაებაზე უფრო მეტია!

ის მოეღწეოდა რალაც განგებით

რომ შეემოსა ყოველი კარგი, რაც ჩვენს ხალხშია

და წინ გვდგომოდა ვით სულს სარკვე.

მწვეხი. უთქვამთ: თუ ფარას თვალი გადაჰყრა,

ცხვირს აღარ მოსდის მაშინ ზარალი

და ისე მრავლობს, ვით ფუტკრის ცოლი!

ზელოსანი. ერთხელ მოვიდა სახელოსნოში;

ნახა ყოველი იქ მომუშავე.

ჩვენ ის შევიგნეთ, შეგისისხლურკეთი

და იმის შემდეგ დრო-ხანა ვანვლო.

აღარც ერთს დარდი არ მოსწოლია.

მუდამ იმედი უტხოველდებათ.

მეუბნება შექმნეს მისდამი პირნი

და ყველა გულში იმის ლიდინებს.

დრო ისე მიჰქრის, რომ ვერ იგებენ!

სალამო მოდის, დილა ჰგონიათ!
იმ ქარხანაში მუშავდება ხალხის სიმდიდრე.
და ჩვენს ქვეყანას ყველგან აოხებს...

ხალხი:

- ჩვენ დაენგრით ცივი კერპები!
- ხალხის საუფრეს ტახტი დაუღვლით!
- ლატავრა არის სულის საუნჯე!
- კეთილშობილი ჩვენი მიხანა!
- თავისუფლების ემბლემა არის!

გზირი. ჰე, ჰე, ჰაა!

ჩემი საყვარი ქვეყანას შესძრავს!

ხმები. მგოსანმა გვითხრობს ლატავრას ლექსი!

ჩვენმა მგოსანმა კიდევ გვიმღეროს.

დასხედით! დასხედით!

მგოსანი. ჩანგზე რიტატივით ამბობს

ის აღმოზრდილა თეთრ ზამზახად, დილის მზის სატრფოდ.

კლდით ჩაუყვამს შუქის კაბა მარკოვანი.

ხალაბული მძივი ყელს უშვენიებს, მერის უამბორებს.

სხივის სარტყელი დაჭერიანებს, წელს უნარნარებს.

გელის საბამი ვარდის ძმებს ჩაჰკონებია.

სიბრძნის უშრეტო სიხარული შემოუბურავს.

სიამოვნების ოქროს ფლანგო ეფხებ ჩაუყვავს.

ხელში უჭირავს რტო სიმშვიდის და სათნოების.

ჩვენს სულში დღის ღვთაებრივის დიდებულობით.

დიღო ლატავრა!

წმინდაა, როგორც სიყვარულით მიმქრალი გრძნობა!

ტყბილია, როგორც უიმედო მიჯნურის კენესა!

ტყბილია, როგორც ჩემი ნატვრა შეცვარებული.

მის სადიდებლად ვმღერო ლოცვას, როს თვალს ვარიდებ
და საღამოთი ეფხუტები მის მოგონებას.

ვმღერი და ვიმღერ: გიხაროდეს სინათლის რძალო!

დიღო ლატავრა!

ხალხი სასიებამ შეიპყრო, სინამდის არღვევს Inkubus.

Inkubus. გრძელი მოგზავნილი ცხვირით, სატანური თვლები და
გამომწვევება აქვს. თავზე ჰხრავს მალალი ქედი, რომელიც არც
ცალმწერს მოგაგონებს და არც ბუნის ქელს. განიერი და ჩაშვე-
ბული შელვარი აქვია.

იგი ლატავრა ის არ არის, რაც თქვენ გგონიათ!

მისი მშვენიერა მოგაგონეთ მხოლოდ მგოსანმა.

თქვენ არ შეგფერით ფანტაზიას ბრმად თან გადაყვეთ!

ხალხს შეატყობს უმეცარეობას.

თუმცა კი უნდა გამოტყველოთ რომ დიდებულაია,

მაგრამ რომ ცრუად გაიხადოთ...

მოქალაქე. აწვეანებებს შერ, ჰეი მშობილო!

ჩვენ წრეს არ უნდა გკუთვნოდეს, გატყობ ქაჩანში!

ზეინკალი. ორჭოფი სიტყვა...

მუშა. შენ მას ასხენებ სიძულვილით, ვინც კი ჩვენ გვი-
ყვარს!

ნებას არ მოგცემთ!

Inkubus. ნებას არ მოცემთ?!

საკვირველი ამბავი არის!

ნებას არ მამლეთ თავისუფალ რესპუბლიკაში?

მეადელი. ხალხის საუნჯეს აღიარა ის რესპუბლიკაში!

ვინც მას შებოღავს, ის მტერია უმრავლესობის...

და შენ მტერი ხარ! ან მოსული პროფოკატორი!

Inkubus. მე მაგ სახელს როცა ვიშასხერებ?

გითხარით მხოლოდ: მოგკენდათ! ეს მართალია!

ხელს დაკოვრებული მუშაობით, გულმკერდს გ მურუღს

და შუბლს გაოფლილს არას არგებს მშვენიერება!

ხალხი. — სწორად ჩვენ გვარგებს! ჩვენ... ჩვენ!..

— ის დრო წავიდა, თქვენი ხელში რომ ის დააქვოქეთ!

— გატყობთ, მტერი ხარ!

აღელვებული ხალხი გარს შემოებნევა და სურთ გასწორ-
დნენ. **Inkubus** გამოუსტუმრებიათ, აბრეხა მალღობზე და რიხიანად

Inkubus. მომიმინეთ!

სათანადლოთ თქვენ არ აუასებთ!

მე მას შეგწერე მთელი ქონება!

მე ავღმენე ხელოვნების დიდი ტაძარი!..

ქალაქი მისი გაგამშვენიე მარშალირით!

ავაგე ჩვენი რესპუბლიკის საშინეს სახლებზე

ციხე-კოშკები, სანგრები და სიმგრებები...

ხალხი. არა! არა! ჩვენ ავაშენეთ!..

ჩვენის მარჯვენიო!

Inkubus. ფული ხომ ჩემი იხარჯებოდა...

ბაჯალლო ოქრო!..

მუშა. ის ფული ჩვენი, ხალხისა იყო...

ზედმეტი ოფლი...

Inkubus. დიახ! ხალხისა!

ფულიც ხალხისა! (თავისთავს)

— თუ მათ ეყირით არ ვაჯობე, შუა გამგლეჯენ! —

მაგრამ გეგმა ხომ მე შევადგინე?

მე ავაშენე ობოლთათვის თავშესაფარი!

უმეფეარაა კასია მე ვაეხსენ!

სახალხო სახლი!

და დღეს ჩემს ამავს აღარა აფასებთ?

ან რად გგონიათ მძულდეს ლატავრა?

როდესაც დივი დამჭირდება, მასზე ფფიულობ!

აბა უყურეთ, აი, ამ გახეთს!

ჩამოთვლილია მისი ღირსება!

ქება-დიდება რჩეულ სიტყვებით!

ეს მე დაეწერე, გამცნე ქვეყანას...

მე ვარ ერთგული...

ხალხი. ჩვენი ყოფილა! ჩვენი ყოფილა!

დურგალი. მე კი ჯეგანა, გრძელი ცხვირი სხვისკენ მი-
ქონდა!

Inkubus. ამხანაგებო! როგორ იქნება?

ჯერ არ მოუსმინეთ, კაცს მისცვიდებით

და ლამის არის შუა გაგლოჯიოთ! ოფლს იწმენდს

ეხლა დარწმუნდით, რომ ვარ მოყვარე!

კაცს რომ იმეტებთ, განა კიტრია

მეორე ხაფხულის ისევ მოვიდეს?..

იციო რა გითხრათ? თქვენ ეს არ იცით!

ცნობის მოყვარეობით გარს შემოებნევიან

მე გატყვით ისეთს საყურადღებოს,

რაიც ლატავრას... არა, ჯერ დარჩეს...

ცივად სწავტეს ლატავრას.

ხალხი. გვითხარ! გვითხარ!

Inkubus. ზა! ზა! ზა!

გზირი. ჩემი საყვარი ქვეყანას შესძრავს...

თქვენ ემანდ სხუბობთ და არ კი იცით,

რემი საყვარი აქ ვის მოუხდის!

დღეს თქვენ ვიგებთ ისეთს დიდს ამბავს,

ჯერ არ გსმენოდით თქვენს სიცოცხლეში!

ჩვენი საყვარი ქვეყანას შესძრავს!

ხალხი. სიჭკი, რას ვაგვიგებთ?

— თადი, ტის უხმოვ!





— რად სცემ შენს საყვარლს ასე შეუბარებ?

გზირი. როცა ქვეყანა ცხოვრებით სტკბება, ხალხი სთვლემს მამინე... მტერი კი ფხიზლობს!

ჩემმა საყვარელმა უნდა შევიტოვო!

და განუფანტოს თავდაფიცება!

ხალხი. შენს ლაპარაკში იმალება რაღაც საშიში!

ოთქის გვიმაღლე საიდუმლოს... გაგვაცხადინე!

გზირი. აქეთ მოდიან ხელისუფლებანი! ალბად გეტყვიან!

Inkubus. რადის იქნება მოვიდოთ ბოლო...

დავადგათ ფეხი...

გაიდგეს ბურჯი, თავს მეფედ გარძნობენ!

მათ დაევიწყათ, მონებელ მყავდნენ...

ეს სულ ლატავიას სიყვარულმა ჰქმნა!

მე უნდა კერპი მათ დაეფნებოდნენ,

და დაეუკარგო მისდამი რწმენა...

დავანაწილო და დაეუფლო!

მათ ბატონობას როგორ ავიტან!

გლეხი. ვინმე გყავს განა კიდევ ბატონი?

Inkubus. ჩუ! უკრს მიგდებენ?

ჩუმაღ! ჩემს თავზე ესჯავრობდი მხოლოდ!

დიდებულია ჩვენი ქვეყანა!

მისი მშვენიერება ლატავიაც ხომ დიდებულია;

ხა, ხა, ხა!

III

ივინივე, მოურავი, მწიგნობარი და მსაჯულნი.

მოურავი. ხალხი გვისმინეთ!

სამი დღე არის გმსჯელობთ ერთს საგანს

და ჩვენ, თქვენ მიერ ამორჩეულნი,

ვერ დაუადგეთ ჯეროვან დასკვნას!

თქვენმა შთავრებამ მარტო ვერ იღო პასუხის გება!

და გადასწყვიტა მსაჯულთა კრებამ:

თქვენვე მოგმართოთ!

თქვენ იცით: მტერი გყავს ჩვენ მრავალი.

იმათ ჰშურთ ჩვენი ბედნიერება,

რომ გარდაეკმენით მგელი სამეფო

და დაემაყარეთ სრულად ახალი,

სად ზენარია ხალხის უფლება

ხალხის სურვილი და ნებისყოფა!

ეს ჩვენს მეზობელს უცხო მოსისხლეს,

ვის ქვემევრდომად ჰყავს ველურები,

არ ასვენებდა და ძილს უფიხიბდა.

რომ ჩვენი ხალხი კეთილდღეობით წინ მიდიოდა.

მიხეზი კიდევ მოუძებნია,

რომ შარი ჯოგედოს და შეგვებრძოლოს.

დაამზის ჩვენი ოქროს ქალაქი!

ვითომც თხოულობს, მაგრამ ეს თხოვნა

ცოც მუქარაზე გარდამეტია!

ხალხი. — რას ითხოვს?

— რა ჰსურს?

— ვინ არის იგი?

მოურავი მეფე ენგისარ!

ხალხი. — მეფე ენგისარ! — მოისხანენ მეფე!

მოურავი. იგი თხოულობს ასულს ლატავიას!

ხალხი. არ შეიძლება! არა! არა! — ის ჩვენ დაგვიცინის!

— ლატავიას იგი მონად გაიხდის!

მეშა. ხალხო! მისმინეთ!

მეფე დასკინის ჩვენს წმინდა გარძნობას!

ველურ დათესს უნდა საჯიჯგველად ჩვენი დიდება!

არაფრად ადღებს ლატავიას სურვილს!

არ შეიძლება...

ზენკალი. დღე ლატავამ თვით გადასწყვიტოს!

მეადელი. თუ მან უფრო უთხრა აზიელს,

მაშინ ჩვენ გავცემთ ღირსეულს პასუხს!

Inkubus. მინდა ესთქე, მაგრამ ჩამაქავებენ...

არ ესთქე, ეუმტუნებს დასახულს მიზანს...

ჰეი მისმინეთ!

იცით ვინ არის ის აზიელი?

იცით, რომ ჯარი ჰყავს მას ძლიერ?

დურგალი. ჩვენ ეგ გვაზინებს! მას ჯარი ჰყავს!

Inkubus. კი არ გავიზნებთ! მე რჩევას გაძლევთ!

მეფე თხოულობს ასულს ლატავიას?

მეოე რა მოხდა! თქვენ უნდა დასთმოთ!

მეადელი. შენ ხომ იმასი ბაგენტი არ ხარ?

Inkubus. მიჰყე და მოჰყე ამ ობერს სოფელს!

თქვენ გაყავთ ცოლშვილი... რისთვის უნდა გასწიოთ

თავი?

ხალხი. ჩვენი მიზნისთვის!..

— ლატავა ჩვენი მიზანი არის... ჩვენი დიდება!

— ის სიმბოლოა ჩვენი სიწმინდის!

— მისი მშვენიერებით ყველანი ესტკბებით!

ხელისანი. ვინ ხარ, ძმობილო! რატომ ვერ გიცნობთ?

რად უმზიდრდები მუდამ ჩვენს გარძნობას?

Inkubus. როგორ ვერ მიცნობთ?

მაღად ჭუდს ეყვანეთ იყვებს.

იი. მეც თქვენებრ... მიცან? ხა, ხა, ხა!

ან რად ჰკითხოვთ გვირსა და სახელს?

ალბად რასიფულს დასაბამს ეძებ!

ჰეიდა, თქვენებრ ვარ აღმაიანი!

ამხანაგი ვარ!..

მე ვარ **Inkubus**!

აქ, აზიში და ევროპაშიც!

კარგი ნაცნობი სამი საოფლის!

მეც ვვიანხმები თქვენს მოსაზრებას:

დიე, ლატავამ თვით გადასწყვიტოს: გლეხს ჩააფლეს ხელს

— მოდი, სთქვი რამე!

შენც თავს გასწიო?

დასთმოძ ცოლშვილსა?

თუ წინააღმდეგს პირველად იტყვი,

მე გავამარებ ოპონიციას!

უპირველესად შენ გკითხვება: შენა ხარ ბურჯი!

გლეხი. აზიელ ბატონს აქ არ მოუშვებთ.

თუ თქვენ არ გეყოთ ტყვია-წამალი,

სოფლად ბერია: ბარი, წერაქვი,

ფიწალი, ცელი და ბასრი ხმალი..

Inkubus. ვაშა! ვაშა!

ეგ იარაღი საუცხოოა!

კაცი თუნდ ტყვიას გაუხვრეტია

და თუნდა ფიწალს, რა გაჩივია?

მწიგნობარი. ჩვენ ეს ამბავი ემცნეთ ლატავიას

და განაცხადე სრული უფარი!

ხალხი. — განა ლატავა ჩვენ დავკავებდნენ?

— წაშლის ჩვენს სახელს, ჩვენს სიამაყეს!

ხელისანი. ამას ლატავა რომ არ იხამდა,

თქვენ უნდა ყველას კარგად გცოდნოდით!

მწიგნობარი. უფარი ჰქონდა ომის დაწყებას!

თადეს საყვირი სარდლებს უძახის...

მაღე ისინიც აქ გაჩნდებიან!
ლატავრა თუნდაც მსხვერპლია შევწიროთ,
რაც არ მოხდება ეს არაოდეს,
მაინც ის მიზეზს სხვას გამოჰსახავს,
რადგან ჰსურს მტარავალს თვით ჩვენი ხალხის
დამორჩილება, დამონივება!
რის თანამგრძნობნი ჩვენშიც ბევრი ჰყავს!

ყველაზე Inkubus-ს დაეძადავინ.

ჩემი რჩევაა და მსაჯულნიც შეთანხმებთან:

ან უნდა დაეთმოთ ჩვენ ყველაფერი,
ხელი ავიღოთ ჩვენს ქვეყანაზე
და მონაპოვარს დიდს უფლებებზე, —
ან იარაღი უნდა ავიხსოთ,
ბრძოლაში მოგვცდეთ, მხოლოდ არ ენახოთ
მონის უღელი ხალხის კისერზე!

ხალხი. შეურაცხყოფას სჯობს დავიხსოვნეთ!

მწიგნობარი. ვით საბერძნეთში ერთს დროს ჰალადა, *)

ეგრეც ლატავრა მფარველობს სიბრძნის,

თვით ჰარმონიას და ჰოენისა!

და რომ ლატავრა ტყვედ გაიხადონ,

სხვა რაღა იყოს თავისუფალი?

უნდა ატირდეს ყველა ღმერთი?

უნდა ჩაეცკათ შავი ძაძვები!

მგოსანმა უნდა ჩანგი გასტეხოს!

გრძნობა სევდიანად დაავადმყოფეს!

უნდა, ჟურწმუნო შეგვეჩვენოს გული!

უიმედობამ დაისადგუროს!

მუშა. ლატავრა ჩვენი სიხარულია!

თავისუფლების ცოცხალი სახე!

ვინც მას უსურვებს შეურაცხყოფას,

ხალხს შეურაცხავს...

აბუხად გვივდებს იგი მტარავალი!

მიზეზს ის იძებს ჩვენს შესამუსრად,

გარამ მიზეზი ჩვენ უფრო ვაოვეთ,

რომ იგი დაეცეთ, მის ქვეყანაში

ავადრიალით სიბრძნის დროშა!

Inkubus. უფროთ ამით გათამამებას!

აქ ხომ ძალიან მეტაშინებთ,

იქაც გაგიშვით და არ მოგტეხოთ გზაში კისერი!

მოხუცი მსაჯული. ჩვენი შეგნება თუმცა ომს უარს ჰყოფს,

არ ჰსურს დიდუროს აღმას სისხლი,

მტარკა თავდაცვის ალღო დიდია!

შეღებება! არ ჰქნაოთ, რომ ჩვენა თეთრმა

იხილოს ისევ მონის ბორკილი!

უნდა იბრძოლოთ უკანასკნელ სისხლს წვეთამდე!

ხალხი. აღტაცებული

უნდა ვიბრძოლოთ! ვფიცავთ თავს დავდებთ!

დარაჯების ხმა ყოველ მხრივ:

— ეჭე ჰე ჰე! თვალს ადევნეთ!

— აგერ გამოჩნდნ!

— მათი მერნები მოჰქროლავენ ფასკუნებებივით!

— ჩვენი სარდლები ახლოვდებიან!

ხალხი. ჩვენი სარდლები ახლოვდებიან!

გზირი. ლატავრა მოდის მათს შესახვედრად!

III

იგინივე და ლატავრა ამალით.

მოურავი. ჩვენი ამაყო და თამამო თავისუფალი!

ლატავრა. შორსა თუ ახლოს, მუდამ თქვენთან ვარ!

ჩემი საღამო!

თქვენს ფეხს და ზრუნვას ჩაქსოვილი ვარ!

და დიდად გვაძლობთ თავდადებისთვის!

მწიგნობარი. ჩვენი ზრუნვა განგამტკიცეთ ბედნიერება!

და დიდებული სიხარება!

ჩემსა ძახილზე შემოკრეფილან

და ყველას სახე გაბრწყინებია!

თვითელს ვიცნობ სულს თვისტომებს!

თუმცა აქ არ ვიყავ, მაგრამ მესმოდა

თქვენი ჩემდამი თავის განწირვა!

მეღმობას ვიძღვრეთ!

ენგიხარ მევე ჩემს თავს მოითხოვს,

მე ვსთქვი უარი!

მაგრამ თუ თქვენი სურვილი არის

წავეყ მის მზელად, დამეორჩილებით!

მე ხალხის ნებას არ ვადრევე!

ხალხი. ჩვენ ვადაეწვევით: არ შეიძლება!

ლატავრა. დღეს მზის დღე არის.

ალორძინების! ჩვენი ხალხის დღესასწაული!

ამ დღემ არგუნა გამარჯვება ჩვენსა წინაპრებს

და დავიცოცხლეთ მათ ანდერძად: ეუძღვნიდეთ ქებას!

მზისკენ დაეპყრობს ხელებს

მზეო ნათელი!

შენა ასულდგმულზე მოელს სამყაროს მხურვალე სხივით!

შენ ჰქმნი ყოველ წამს ახალ სიცოცხლეს!

შენ ათბობ გრძნობას, შობავ ნათელ აზრს.

აჲ შენს წინაშე წარმოსდგარავარ სულით შიშველი.

შენ ერთს ვადიდებ! შენ გამო ვცოცხლობთ

შენ ხარ წყარო უშრეტო ძალის!

რაიც სივრცეში ვაფანტულა შენის სხივებით

და რომელთაგან აღმოცენდა ნორჩი ბუნება,

ხოლო ბუნებამ შენი ძალით შვა ერი ჩვენი.

მოვესწარები შენს დიდებას, სამყაროს სულს,

რომ ჩვენ, ნაწილმა, შევიმოსით შენი სრულყოფა,

და, როგორც უწინ, კვლავ ვადიდებდით!

ამაღა გადობს მზისაღმის, ლატავრა სიმღერის რიტმზე ცე-
ვეს ვერც მიშვდ, შემდგმ მფრევალით, აპოლონის რიტმიდან გადა-
დინა დღისთვის გატაცებაზე. ხალხი აღტაცებულია. ზეიშა. ბალეტ
Inkubus ზურთს სავსე ყველგანა აღტაცულა. გარდცხ სისხლს
აღტაცებული ძახილი:

— ჩვენი სარდლები! გაუბრალონი! სამს მას, სამს რაინდს! ვაშა
ჩვენს მვეცხელს!

— უკვე მოსულან!

— რა რიგად ვვლავ!

— სამი მმა ჩემთვის თავდადებული!

— სამი დარაჯი!

VI

იგინივე და სამი სარდალი: გურამ, რატი, ბექარ.

მოურავი. ჩვენთან არიან ძლევამოსილ ჯარის უფროსნი!

მოვესწამებთ გურამს! რატი! ბექარ! ლომგულს!

გურამ. თავდეს საყვირი მოვეწვივდებო.

თავი ვანებთ ბანას საივემ.

და გამოვჭროლოთ ელვის სისწრაფით:

რა მოხდა განა მოულოდნელად?

*) ლეოტაბა ძველს საბერძნეთში სიბრძნის, ზელოვნებისა და
მეცნიერებისა.

ვიფიქრეთ: მტერი თუ თავს დაესხათ,
ჯერ ხომ ჩვენ უნდა შეგვიხვედროდნენ.

მაგრამ სასაღერებზე შევიდოდა არის!

რატი. ბედნიერი ვართ, ლატავრას! გედავთ!

ბექარ. ლატავრა ივრძნობს ჩემს ალტაცებას!

ლატავრა. მუდამ მესმოდა, თქვენი საქმე ესდენ საგმირო!
თქვითან ვმცორობდი, სულის დღევით, ჩემის ოცნებით!

სამნი. ჩვენ სამნი ძმანი ერთგულნი მარად
შენც და ჩვენ ხალხსაც ქვემსახურებით!

ბექარ. რადგან სამივეს შენ გვიცეცხრას წმინდა ოცნებით
რაიკეთის ჩვენ წინაშეს ვერც ერთმა მტერმა...

გურამ. თუმცა შორს ვეყავით, მაგრამ ფიქრი შენს ახლოს
იყო...

რატი. და იგი ფიქრი ჩვენ მარად ვაშვს დამუღებდა!

ბექარ. ერთხანად ვაშვობდით: ნეტარედდეს სინათლის რბალი!

ლატავრა. ბედნიერი ვარ, ოცნება რომ ჰგავს სინამდვილეს!

მიწიანოვაძე. სიხარულისგან ჩემი თვალი ცრემლით ივსება!

მოხუცი ვხედავ შენთან ახლოს ესრეთ: ჰაზუტებს!

შენსა მომავალს რკინის ხელით განამტკიცებენ!

ხალხი. ვაჟა ჩვენს სარდლებს! ვაჟა ლატავრას!

Inkubus. თქვენი ერთგული ვეღარ მიცანით!

მობარბული ვარ; ხა, ხა, ხა, ხა! მობარბული ვარ!

იქნებ თუ მართლა გამოვიცალა?

აი ეს ხალხიც სალამს მოგიძღვნიან...

ანიშნებს და ხალხი იძახის: ვაჟა ჩვენს სარდლებს!

ვით უწინ, ცხლაც თქვენთვის მე მზად ვარ!...

ბექარს ცოტა განუხ ვაიყვნა და ჩუხად

ბექარ! შენ მათზე უმცროსი ხარ, და გაგიბედავ...

როცა აქ მორჩეთ, გახივით მომბრძანდეთ ჩემთან სადილათ...

ეს ორი დღეა თქვენ გელოდებით

და თადარიგიც მიცემული მაქვს...

ფეიქაძე, ვერ ნახათ ჩემზე ერთგული!

მოურავი. რომელიც გურამს ელაპარაკებოდა.

....და მოგახსენებთ!

ეს სამი დღეა ელჩნი ვეცხენ...

იმ ელჩებს ცხლავ აქ წარმოვიადგენ...

თვით მოუწმინეთ...

აი, მიზეზი რომ ხალხი შეტარ

და თქვენც სამნივე აქ დაგიბარეთ ერთს მღვებელს

— წარმოადგინე ელჩნი ხალხს წინ.—

თქვენ კარგად იცნობთ ჩემს მოსისხლე ენგიარს მეფეს.

და არა ერთხელ ამ ქვეყნიდან განგდევნიათ.

დღი ბანია ჩუმიდ იყო, არას გვერჩოდა,

და თქვენ ამ ხანად აყვავეთ ჩვენი ქვეყანა.

მაგრამ დღეს ისევ ხარბი გული შურით ავისია

და მიზეზს ეძებს...

ბექარ. ლატავრას ხელზე დამბრბება.

შენს ნათელ სახეს ცხადად ვხედავ უსაზღვრო გულში!

შენის ცხოვრების სწიფით ჩვენც ვსუნთქავთ!

რატი. და გვამოძრავებ!

ბექარ. და გვამოქმედებ!

ბექარ. **გურამ.** **რატი.** ერთი გაზაფხულის მზიარულს დილას

გამომიქოროლე, თან წარმიტაცე

— და შემიყვანე სულის წალკოტში

სად უფიქროვ ვაძინი დღეობა.

— მითხარ: აკრიფე იგი საუნჯე

და მეც ავკრიფე, თან წამოვიღე.

— და ის საუნჯე მე ხალხს გარდავცე.

— მაგრამ როს მწუხრის ბინდი მოვიდა,

შენს სამსხვერპლის წინაშე ლოცვად წარმოვსდევ...

— და რა ებიბო? იგი საუნჯე

მე რომ ხალხს ვუძღვე, შენგან მომდინილი,

— კვლავ მესმის წინაშე მწუხრად ელგა!

სამნი. შენი საუნჯე ჩვენი არის, ჩვენი კი შენი,

ხილო ყველასი! — ჩვენი ხალხისა!

ლატავრა. ო, თქვენივე ერთად რაობ ენეტარებ!

V

ივინივე და ელჩები აზიურად ჩაცმულნი.

ლარაჯი. გზა მეფის ელჩებს:

ხბები. როგორ ეტყობათ მონის ბეჭედი!

— მათ ქვეყანაში ალბად ხალხიც უბედურია!

— როგორც წინა დროს ჩვენი მამები!

ელჩი. მგზავნის ენგიარს მზის ქვეყნების დიდი მპყრობელი,

რომელიც უკვე საზღვარზე სდგას ურიცხვი ჯარით,

და მოუთმენლად ელის პასუხს თუ რას გადასწყვეტ.

II ელჩი. მხოლოდ შენ მასუხარ, ერთად-ერთი მთელს

ქვეყნის ზურგზე,

შენ ერთს გიშვადებს სადღეოფლო იშვით გვირგვინს.

თან დაგვაბარა: სურვილს ნებით თუ არ დამკვიდრ.

დაუყოვნებლივ შენს ქვეყანას შემოესევა,

დაგვატარებს ძალით, ტყვედ წაიყვანს და შესარცხვენად

უბრალო მხევილად გარდაგაქცევს! — ხასად დაგისვამს!

აი ფირმანიც!

ბექარ. ამ სიტყვებით აინთება. მივარდება მოციქულს და სილას შე-

ნაპირებს. ფირმანს მხედს და პირში აკრის.

ხასად დაიხსენა?..

აი პასუხი! წადი ბატონს ეს მოახსენე!

ლატავრას მუხლს მოუღოს.

გთხოვ პატივებს! წყენით აღსავსემ

ვერ გამოვინებ უკეთესი საშუალება!

Inkubus. ხა! ხა! ხა! ომი დამიწყო! ომს გაუმარჯოს!

გურამ. წადით და ასე მოახსენეთ და დაუშატეთ:

რომ სამნი ძმანი მზად არიან შეგებრბოლონ-თქო!

რატი. ის კარგად გვიცნობს, უკეთესად უფრო გაგვიცნობს!

ელჩები გაიდან

VI

ივინივე ელჩების გარდა.

მოურავი.ომი უკვე დაწყებულია!

მოიტათ დრომა და იგი ხმალი!

ლატავრამ უნდა ერთ-ერთის გადასცეს!

მთავარსარდალი ამ სამს ძმაში იგი იქნება!

შეიძებნა დავკელი დრომა და ხმალი. ლატავრას მოუტანენ

ლატავრა. უნდა გარდავცე ერთ-ერთ მათგანს! უნდა გარ-

დევცე!

მაშას იღებს ხელში

ბასრო მახვილი!

შენ ხარ დილბა, ძლიერება, თავისუფლება!

საიწმე. სარდლებს ათავლიერებს, თითქმის ირჩევდეს მათ შო-

რის, თუ რომელს გარდაცვს, შემდეგ გურამისკენ გაგანება და გა-

ტაცებით, მსურთაღუდ:

ო, ჩემო გურამ! შენი თვალნი რაობს ზარწყინად!

შეგვიტრებელი შენი სული სიღრმით გამოკრითის,

ხოლო იმ სულში იხატება ჩემივე სახე..

ვამაყობ შენის ერთგულებით, ძვირფასო გურამ!

რატოს მიფრუხვება, ვერცე გატაცებით

ძვირფასო რატი! ვამპრობო, ჩემო რაინდი!

ვგრძნობ შენი გულის წმინდა აღერის, ჩემდამი მოძღვნილს,

განუყვარი ვარ შენს ალერსთან და შენს ფიქრითაგან...
ვაიმაყო შენის ერთგულებით, ძვირფასო რატო!

ბეჭდის მიერუნდნება, ვერც ვატყობთ
ო, ჩემო ბეჭაო! რაინდო და ჩემო არჩეო,
თვით სიხმარშიაც მე შენს მიჯნურს თავს რომ მევლები!
განა არ მამცნობს შენი ზრუნვა რაივთ გიყვარვარ?
ვაიმაყო შენის ერთგულებით, ძვირფასო ბეჭაო!

განუ გადგება და დროშას გაშლის
სულზედ უტკეპნო!

ამ ხმაღს და დროშას... შეგრუბნა და შემდგ უცხად
მე ვიტყვებ!
თვენი კი მოგიძღვებით ჩემს უსაზღვრო, წმინდა სიყვარულს!
წადით, იბრძოლეთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

ალტაიება

ხალხი: დილეო ლატვარა!

ფ ა რ დ ა.

სანდრო შანშიაშვილი.

ჩვენი კულტურული ფრონტის გარშემო.

წერილი მეორე

ჩვენს პირველ წერილში (იხ. „დროშა“ № 8) აღვნიშნეთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ქართული ნაციონალური კულტურის ასაღორძინებლად და განსამტკიცებლად საბჭოთა ხელისუფლებამ შედგმოი ყოველთვიური პენსიის დანიშვნის სახით ნიეთიერათ უზარუნველყო საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც სრულიად უანგაროდ ხალხში და ხალხისათვის იღვწოდნენ სამეცნიერო, სამწერლო, სახელოვნო და საპედაგოგიო ასპარეზზედ, მაგრამ ყოფილი რუსეთის ბიუროკრატიული მთავრობისაგან არა თუ ნიეთიერ დახმარებას, პირიქით უკიდურესს შევიწროებას და დევნას განიცდიდნენ.

ამ წერილში კი ჩვენ გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ მეორე ლინისძიებაზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ დასახა ჩვენი ეროვნული კულტურის უფრო მეტი დახმარება და დასამყარებლად და ასაღორძინებლად.

თეთივფერი სახელმწიფოს გონებრივი წარმატება, მისი სოციალური და ეკონომიური კეთილდღეობა უმეტესად დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენად სწავლა-განათლება გაერკლებულია მშრომელ ფართე მასებში, თუ რამდენად ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლებში ამ სახელმწიფოში ნორმალურ პირობებშია ჩაყენებული და რამდენად ეს სასწავლებლები შეფარდებული არიან ცოცხლების ნამდვილ მოთხოვნილებასთან.

ცხადია, ხალხის ფართო მასებში ჭეშმარიტი ცოდნისა და სწავლა განათლების შეტანას, სასწავლებლების ნორმალურად მოწყობას სახელმწიფოს მიერ სტერტიორიაზედ, კულტურულ მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნას დიდი დრო, დიდი შრომა და ენერგია, დიდი ნიეთიერი ლონისძიებანი სჭირია.

მაგრამ, თუ სახელმწიფო და მისი ხელისუფლება ხალხის მშრომელი ფართო მასების კეთილდღეობისათვის ზრუნავს, თუ მისი კულტურულად და ეკონომიურად განვითარების საქმე პირველხარისხიან საგნად მიაჩნია, იგი ხელისუფლება არც შრომისა და ენერგიისა და არც ნიეთიერი რესურსების დახარჯვას არ უნდა გრადებოდეს და ის საშეილშეილო და დიდი საქმე, რომელსაც მშრომელი მასების გათვითცნობიერების საქმეს ეძახიან, უმკველად საღსა და ნორმალურ პირობებში ჩაყენოს.

აი ამ თვალსაზრისით რომ გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის გონებრივად განვითარების საქმე წარსულში, სწორედ იმ წარსულში, როცა ჩვენი კულტურული ფრონტის კამერტონი ხელთ ეპყრათ რომანოვების გვარეულ-

ბის ბიუროკრატ მოხელეებს, მეტად უნდუმო სურათი დაგვეტატება თვალთ წინ.

ამ ეპოქად ყველასათვის ცხადზედ უცხადესია, რომ ყოფილი რუსეთის სასკოლო პოლიტიკა საერთოდ მიუღს რუსეთში და განსაკუთრებით კი განაპირა ქვეყნებში ყოველ თავისუფალ აზრს, ყოველგვარ მისწრაფებას ჭეშმარიტ ცოდნის შესაქმნელ აზმობდა და ამრიგად ხელოვნურად უსაზღვრად მოსწავლე ახალგაზრდობას საშულებას საჭირო ცოდნა და განვითარება მიეცო.

რუსეთის სახალხო განათლების ცნობილი მინისტრები დელიანოვი, მოგოლეპოვი, შვარცი, კასო და ამირ-კაეკასიის მათი უახლოესი თანამშრომელნი და უსირცხვილო აგენტები ნევეროვი, იანოვსკი, ზავდსკი და რუდილოვები კულტურულ ფრონტზედ შეუბრალებელი ჯალათები იყვნენ ამ სიტყვების ნამდვილო სნიშვნელობით.

სწავლა-განათლების წყურვილი რომ ხალხში ჩაეკლათ ეს განათლების ჯალათები ჭეშმადნენ ყოფილი მთელი რუსეთის იმპერიის საზღვრებში ხელოვნურად ისეთ პირობებს, რომ ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლების კარები ჩაქეტილი ყოვილიყვნენ მშრომელი მდაბიო მასის შეიღებისთვის.

სასწავლებლებში სინიკრ, სწავლის ფულის გადასახადის სიდიდე, სასწავლებლების ბიუროკრატიული ხასიათი მშრომელ მასებს ყოველგვარ საშუალებას უსაზღვრდნენ მიგზარებინათ თავიანთი შვილები სასწავლებლებში და მცირედ განათლება მიეცათ.

ასეთი გამათახსირებელი სასკოლო პოლიტიკის შედეგიც ყველასათვის აშკარა იყო. რუსეთის თვალუწვდენელ სიერცხელ ხელოვნურად შექმნილ პირობების გამო სწავლა-განათლებას იღებდნენ მუთიერესად დიდი ზოგადი ბიუროკრატ-მოხელეებისა, სპეკულიანტ-ვაჭრებისა და სასულიერო წოდების შვილები, რომლებიც სარგებლობდნენ ყოველგვარი შეღავათით.

მეტად საგულსხმერო და დამახასიათებელია ამ მხრით კავკასიის სასწავლო ოლქის ყოფილი მზრუნველის იანოვსკის 1881 წლის ცირკულარი, რომლითაც უკრძალავდა გიმნაზიის დირექტორებს მდაბიო ხალხის შვილების მიღებას, ვინაიდან „წარჩინებულთა“ შვილები „დაბალი“ წოდების შვილებისაგან მიიღებენ ცულ ზნე-ჩვეულებას და ეს გარემოება კი პედაგოგიური თვალსაზრისით ყოვლად დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

ამ უსირცხვილო ცირკულარის დედა ახიო უმკველია რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროში შე-



მუშავდა და „ნეტარსენებულმა“ იანოვსკიმ თავის „სამფლობელოში“ მთელის სისასტიკით ცხოვრებაში გატარება მოისურვა და რამდენიმე დღე მიაღწია თავის საწოდელს.

კუმბოთ „რამდენიმედ“, ვინაიდან მოხსენებულმა ცირკულიარმა იმ დროს დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელს საზოგადოებაში.

ცხოვრებას აქვს თავის უღმრთელი კანონები, რომლის ჩარჩოებში არ თავსდებიან უსულო, უფულო და უნადავგო ცირკულიარები.

მართლაც საზოგადოების აღშფოთებამ და სამართლიანმა პოპულარმა გასწავლა და მშრომელი მასების შეილება ნებით იყო თუ უნებლით თანდათანობით გზა მიაკვლიეს სკოლების კარებისაკენ.

რუსეთის დიდმა რევოლუციამ სამუდამოდ ანდერძი აუკეთა იმ განათასინებელ საერთო პოლიტიკას, რომელიც სამასი წლის განმავლობაში გაუმეფეულყო რუსეთისა და მის განაპირა ქვეყნების მთელს ტერიტორიაზე, და კერძოდ სასკოლო პოლიტიკასაც.

საბჭოთა ხელისუფლების დიდიან დამყარებისა სასკოლო პოლიტიკა როგორც რუსეთში, ისე საქართველოს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზედ სულ სხვა ფარგლებით შემოიხსნა.

ავტო უკვე სამი წელიწადი შეირუღდა, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და ამ ხნის განმავლობაში ამ ხელისუფლების წარმომადგენელნი ყოველგვარ შესაძლებელ ღონისძიებას ღებულობენ იმისათვის, რომ სწავლა-განათლება მშრომელი ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი და დასაშვარი გახადონ, რომ სწავლა-განათლებისა და მეცნიერების ტაძარი, რომლის კედელთა შორის თანაბრად თავსდება ელენიკი და ისრაელი, განკუთვნილი იყოს თვითმოდ მშრომელ მოქალაქის შეღისათვის.

ამ აზრის განსამტკიცებლად, ამ აზრის ცხოვრებაში სასტიკიან გასატარებლად განათლების სახალხო კომისარიატი მთელი ამ სამი წლის განმავლობაში დიდ მუშაობას აწარმოებდა და კიდევაც მრავალ დადებით შედეგებს მიაღწია.

მიუხედავად ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური მიმდევარებისა და მრავალი სხვა ობიექტიური პირობათა დაბრკოლებისა საბჭოთა ხელისუფლებამ სახალხო განათლების კომისარიატის საშუალებით მეტიდინი საბირკველი ჩაუტარა რესპუბლიკის ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებელს და მეტიდინოდ დაუკავშირა იგი ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნილებას.

სოციალურ პირობის სფეროში კომისარიატი მეტის სიხშირით მიუღდა სასკოლო აღმშენებლობის საქმეს და ამ მხრით მიაღწია სკოლის ძირითად ცვლილებას.

სკოლას საფუძვლად დაეთმო შრომის პრინციპი და სკოლის ყველა საფეხურების მთლიანობა, ამ პრინციპზედ აგებული სკოლა უკვე მოხდენილ რეორგანიზაციის მიხედვით დანაწილდა ორი საფეხურის სკოლად.

პირველი საფეხურის სკოლა განისაზღვრება ოთხ-წლიანი შრომის სკოლის კურსით, ხოლო მეორე საფეხურისა — შვიდი და ცხრა წლიანი შრომის სკოლების კურსით. მთლიანი შრომის სკოლების ნაყოფიერად მოქმედებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კომი-

არიატმა სკოლის გარეშე მუშაობას სასკოლო საკრებულოებისა და ბიბლიოთეკების სახით.

თანამედროვე პედაგოგიაში დღეს დღეობით უდავო ტენდენციებია აღიარებული, რომ სოციალურ აღზრდის სისტემაში სკოლის ასაკამდე აღზრდას მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ამ აზრს განათლების კომისარიატმა სათანადო ანგარიში გაუწია და რესპუბლიკის მთელი ტერიტორია მოაყვინა შედარებით საკმაო რიცხვით სასკოლო ასაკამდე დაწესებულებებისა.

სოციალური აღზრდის სისტემის მთლიანობის დასაცავად კომისარიატი განსაკუთრებული ყურადღებით ამორჩევლობით მოეპყრო უპატრონო და დევნებლანი ბავშვების აღზრდა-განათლების საქმეს.

მართალია ის დაწესებულებანი, რომელნიც ხელმძღვანელებენ ესეთი უპატრონო და დევნებლანი ბავშვების სწავლა აღზრდისა და მოვლა პატრონობის საქმეს, ჯერ-ჯერობით ტფილისისა და მისი მახლობელ ადგილების ფარგლებით შემოიხსნება, მაგრამ იმედია სახელმწიფოს ეკონომიური დეგომარბიზა როგორც კი გაუმეფელებს, ეს ეიწრო ფარგლი უფრო გაფართოვდება და ჩვენი ქვეყნის შირეული კუთხეებიც შესძლებენ ამ ფრიად მნიშვნელოვან და საჭირო დაწესებულებებით სარგებლობას.

პროფესიონალურ ტენიერ განათლების სისტემაშიც საბჭოთა ხელისუფლების დროს დიდი ცვლილება მოხდა და ეს ცვლილება ბუნებრივად გამოიწველი იყო ჩვენი ქვეყნის ბუნებისა და ცხოვრების შეცვლილი პირობებისაგან.

ცხადია, საქართველო ისეთი ქვეყანაა, საცა მციდრთა არსებობის წყაროს შეადგენს სოფლის მეურნეობა. ჩვენი ქვეყნის წიაღში უდავოდ ჩამატხულია უმრავი ბუნებრივი სიმდიდრე, რომლის გამოტანა და დამუშავება აუცილებელი საჭიროა ჩვენი ერის ეკონომიურად მოღონიერებისათვის.

